amaze

განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ- გაკვეთილის გეგმა AMAZE ანიმაციური ვიდეო რესურსების გამოყენებით

საგაკვეთილო გეგმები თარგმნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების რესურსიდან და ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI-ის მიერ

რა არის

გულინგი

HERA XXI amaze Advocates for Youth Rights. Respect. Responsibility. unesco UNFPA

გაკვეთილის შესახებ...

წინამდებარე გაკვეთილის გეგმა ერთ-ერთია იმ ნაკრებიდან, რომელიც მოიცავს ცხრა ინდივიდუალურ გაკვეთილის გეგმას, და რომელიც განკუთვნილია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სკოლებსა ან არასასკოლო გარემოში ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების მიწოდების მხარდასაჭერად. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ითვალისწინებს „AMAZE"-ის მიერ შექმნილი და გაკვეთილის გეგმასა და თემასთან დაკავშირებული საგანმანათლებლო ვიდეოების გამოყენებას; გარდა ამისა, შესაძლებელია მოცემული მასალების ჩართვა ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების ფარგლებში დამტკიცებულ გაკვეთილის გეგმებში ან მათი გამოყენება დამატებითი რესურსების სახით.

საუკეთესო შემთხვევაში, ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების სფეროში ნებისმიერი კონკრეტული თემის შესწავლა მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარების, გამოყენებისა და პრაქტიკაში დანერგვის შესაძლებლობას აძლევს. წინამდებარე გაკვეთილის გეგმები ნიმუშის ფორმით არის შედგენილი და სწავლის მხოლოდ რამდენიმე ძირითად შედეგს მოიცავს, რადგან ჩვენ ვაცნობიერებთ და ვაღიარებთ, რომ ერთი გაკვეთილი ხშირად არ არის საკმარისი სწავლის რომელიმე შედეგის მისაღწევად ან ერთზე მეტი სასწავლო სფეროს მოსაცავად. რეკომენდებულია მასწავლებლებმა დაგეგმონ და ჩაატარონ დამატებითი გაკვეთილები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს ადამიანის სექსუალობის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების უზრუნველსაყოფად შემუშავებული მოცემული გაკვეთილების ფარგლებში დამუშავებული თემების განმტკიცება და სწავლის დასახული შედეგების სრულყოფილი მიღწევა. ამ მიზნით მათ შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საკლასო ასევე არასაკლასო გარემოში არსებული შესაძლებლობებით, რაც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უკეთ გააცნობიერონ მათი დამოკიდებულებები და დახვეწონ და პრაქტიკაში დანერგონ შეძენილი უნარები.

amaze

რა არის ბულინგი

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ

გაკვეთილის გეგმა

ადამიანის სექსუალობის შესახებ განათლების საერთაშორისო ტექნიკური სახელმძღვანელო

ძრითადი ცნება 1: ურთიერთობები

- თემა 1.3: შემწყნარებლობა, ინკლუზია და პატივისცემა
  ასაკობრივი ჯგუფი: 9-12

ძრითადი ცნება 4: ძალადობა და უსაფრთხოება

- თემა 4.1: ძალადობა
  ასაკობრივი ჯგუფი: 9-12

წინაპირობა

მოსწავლეები ერთმანეთისგან განსხვავებენ ძალადობის სხვადასხვა ფორმებს და იციან, რომ ყველა ადამიანი განსაკუთრებული და ღირებულია

სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი

მე-3-4 კლასის მოსწავლეები (ასაკი 8-9 წელი)
მე-7-9 კლასის მოსწავლეები (ასაკი 12-14 წელი)

გაკვეთილის ხანგრძლივობა

45 წუთი

გაკვეთილისთვის მზადება:

- ასოციაცია ,,HERA XXI"-ის YouTube არხზე მოიძიეთ AMAZE-ს ვიდეომასალა სახელწოდებით „რა არის ბულინგი?", რათა გაეცნოთ მის შინაარსს, თუ კარგად არ იცნობთ ბულინგის ცნებას, წინასწარ შეისწავლეთ თემა. შეგიძლიათ ისერგებლოთ შემდეგი რესურსით: „რიცხვებს მიღმა - სკოლაში ძალადობისა და ჩაგვრის (ბულინგის) დასრულება; ასოციაცია ,,HERA XXI"-ის რესურსები: ,,ძალადობა და უსაფრთხოება". http://forteachers.ge/temis-mixedvit/zaladoba-da-usafrtxoeba/, ,,რა არის ბულინგი" http://forparents.ge/informacia-temis-mixedvi/bulingi/ra-aris-bulingi/
- წინასწარ ჩართეთ ვიდეო „YouTube"-ზე და ნახეთ იგი სრულად, რათა დარწმუნდეთ, რომ იგი მზადაა გაკვეთილის მსვლელობისას ჩვენებისათვის, ხარვეზებისა და რეკლამების გარეშე, ან ჩამოტვირთეთ ვიდეო გაკვეთილის მსვლელობისას მისი გამოყენებისათვის. შეგიძლიათ ისარგებლოთ „YouTube"-ზე ვიდეოს ჩვენების სიჩქარის რეგულირების ფუნქციით, თქვენი მოსწავლეების საჭიროებებზე მისი მაქსიმალურად მორგების მიზნით
- ამობეჭდეთ მოსწავლეებისთვის დასარიგებლად განკუთვნილი მასალა: „ჩაგვრის (ბულინგის) მაგალითები" - ერთი ეგზემპლარი 3 ან 4 მოსწავლისგან შემდგარი თითოეული ჯგუფისთვის
- ამობეჭდეთ სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის: „ჩაგვრა (ბულინგი)" - ერთი ეგზემპლარი თითოეული მოსწავლისთვის

საჭირო მასალები: ინტერნეტთან დაკავშირებული კომპიუტერი და ხმის გამაძლიერებელი

- LCD პროექტორი და ეკრანი
- ვიდეოს ბმული: https://youtu.be/x0TWY2FqN2c?si=N5bRCPiRBDYgPR6l
- დაფა და ცარცი
- მოსწავლეებისთვის დასარიგებლად განკუთვნილი მასალა: „ჩაგვრის (ბულინგის) მაგალითები"
- სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის: „ჩაგვრა (ბულინგი)"

ასოციაცია ,,HERA XXI"-ის მიერ ნათარგმნი AMAZE-ს თემატური ვიდეოები
სომხურ ენაზე: https://youtu.be/mtBqyQQMAiQ?si=79gB0yPdGH7Irvz5
აზერბაიჯანულ ენაზე: https://youtu.be/vLuyaxgM5vU?si=_bFf442mCiOcWNXb

სწავლის ამოცანები:

გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეები შეძლებენ:

1. **განმარტონ რას ნიშნავს ჩაგვრა (ბულინგი).** (ცოდნა)
2. **აღწერონ ჩაგვრის (ბულინგის) სხვადასხვა გამოვლინებები.** (ცოდნა)
3. **დაასახელონ ჩაგვრაზე (ბულინგზე) რეაგირების სულ მცირე ორი გზა.** (ცოდნა)
4. **გააცნობიერონ, რომ ჩაგვრა (ბულინგი) მავნებლური და შეურაცხყმყოფელი ქცევაა.** (დამოკიდებულება)

შენიშვნა მასწავლებლებისთვის: გაკვეთილის მსვლელობისას იმ მოსწავლეებმა, რომელთა მიმართაც ამჟამად ხორციელდება ჩაგვრა (ბულინგი), ან რომელთაც ჩაგვრის (ბულინგის) გამოცდილება აქვთ, შესაძლებელია განიცადონ ემოციური ტრავმა. გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ, სურვილის შემთხვევაში, მათ შეუძლიათ გაკვეთილის შემდეგ პირადად გაგესაუბრონ, და მზად იყავით იმისთვის, რომ ურჩიოთ მათ კონსულტაცია ფსიქოლოგთან, საჭიროების შემთხვევაში. მზად იყავით იმ მოსწავლეების ქცევაზე რეაგირებისათვის, რომლებიც შეეცდებიან გაკვეთილის მსვლელობისას გაამჟღავნონ ჩაგვრასთან (ბულინგთან) დაკავშირებული პირადი გამოცდილება, ან თავიანთ მსჯელობაში პირდაპირ მიუთითონ იმ მოსწავლეებზე, რომლებიც მსგავს ქცევას ამჟღავნებენ სხვების მიმართ, რაც გულისხმობს მათთვის ინფორმაციის მიწოდებას იმის თაობაზე, რომ მათ შეუძლიათ ამ თემაზე გაკვეთილის შემდეგ პირისპირ გაგესაუბრონ.

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*
გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის მსვლელობა:

ეტაპი 1

აუხსენით მოსწავლეებს, რომ თქვენთვის ცნობილია, რომ ბევრმა მათგანი რაღაც ინფორმაციას მაინც ფლობს ბულინგის შესახებ, რადგან მასთან შეხება შეიძლება ჰქონდეთ სკოლაში სწავლის პერიოდში ან მის ფარგლებს გარეთ; თუმცა, ხანდახან, უფროსი ასაკის ადამიანებს შეიძლება ნაკლები წარმოდგენა ჰქონდეთ ბულინგზე, ან ყოველთვის არ აღიქვამდნენ მას სერიოზულად. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ბულინგი ძალადობის გამოხატულებაა და რომ დღეს თქვენ აპირებთ განიხილოთ რა არის ბულინგი, ბულინგის სხვადასხვა ტიპები და რა უნდა მოვიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, თუ ბულინგის მსხვერპლი ვართ ან შევესწრებით სხვის მიმართ განხორციელებულ ბულინგს.

(2 წუთი)

ეტაპი 2

უჩვენეთ მოსწავლეებს ასოციაცია ,,HERA XXI”-ის მიერ ნათარგმნი და ადაპტირებული „AMAZE“-ის ორწუთნახევრიანი ვიდეო, სახელწოდებით ბულინგი“:

ვიდეოს დასრულების შემდეგ, მიმართეთ მოსწავლეებს, ხომ არ აქვთ რაიმე შეკითხვა. შემდეგ უთხარით მათ: „ვიდეო, რომელიც ჩვენ ვნახეთ, გვეხმარება მეტი შევიტყოთ ბულინგის შესახებ, დაწყებული იმით, თუ რა არის ბულინგი — ქცევა, რომელიც ვნებს, ზიანს აყენებს ან ამცირებს ადამიანს“. მოსწავლეებისთვის ამ განმარტების გაზიარებისას, დაწერეთ იგი დაფაზე. შემდეგ მიმართეთ მოსწავლეებს: „ვიდეოში ასევე საუბარი იყო ბულინგის ზოგიერთ ტიპებზე. ხომ არ დაასახელებდით ბულინგის ზოგიერთ ტიპებს, რომლებიც ვიდეოში იყო ნახსენები?” მოსწავლეებთან ერთად განიხილეთ ბულინგის შემდეგი ტიპები და მოიყვანეთ მაგალითები თითოეულისთვის:

- აქტიური ბულინგი, რომელიც მოიცავს ფიზიკურ ჩაგვრას, როგორიცაა ხელის კვრა, წიხლის კვრა, ფეხის წამოდება ან ქონების დაზიანება.
- ვერბალური (სიტყვიერი) ბულინგი, როგორიცაა არასასურველი ზედმეტსახელით მიმართვა, შეურაცხყოფა, ან დაცინვა და აბუჩად აგდება.
- პასუირი ბულინგი, როგორიცაა ვინმეს განზრახ უგულებელყოფა ან ვინმეს არ მოწვევა აქტივობაში მონაწილეობისთვის.
- კიბერბულინგი, როგორიცაა შეურაცხმყოფელი ან დამამცირებელი ტექსტები, ელ.ფოსტის გზავნილები ან პოსტები, ფოტოები ან ვიდეოები, ან სხვათა განზრახ გამორიცხვა ონლაინ აქტივობიდან.

როდესაც მოსწავლეები საუბრობენ მათთვის ცნობილი ბულინგის ტიპების შესახებ, ჩამოწერეთ ისინი დაფაზე.

(8 წუთი)

შენიშვნა მასწავლებლებისთვის: ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეებმა შეიძლება გამოიყენონ შეუსაბამო ლექსიკა ან იუმორი, რა დროსაც საჭიროა მათი შეჩერება, სთხოვეთ მოსწავლეებს შეწყვიტონ მსგავსი ლექსიკით საუბარი და ამ მოსწავლეებს გაესაუბრეთ მათ მიერ გამოვლენილი შეუსაბამო ქცევას შესახებ, გაკვეთილის შემდეგ.

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ
გაკვეთილის გეგმა

ეტაპი 3

შემდეგ, მიმართეთ მოსწავლეებს კითხვით: „რატომ მიმართავენ ადამიანები სხვების ბულინგს? მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ექნებათ საშუალება დაფიქრდნენ და უპასუხონ თქვენ მიერ დასმულ კითხვას, თუ მათ პასუხებში არ იქნება გაჟღერებული შემდეგი მიზეზი, გაამახვილეთ მათი ყურადღება იმაზე, რომ მოძალადე ეძებს სხვა ადამიანზე კონტროლის მოპოვების გზებს, რათა თავი მათზე უფრო ძლიერად წარმოაჩინოს და შედეგად, ბულინგის მსხვერპლმა განიცადოს გულისტკივილი და ემოციური და ფიზიკური ზიანი.

შემდეგ, გადაანაწილეთ მოსწავლეები 3 ან 4 მოსწავლისგან შემდგარ ჯგუფებში და მიეცით თითოეულ ჯგუფს მოსწავლეებისათვის განკუთვნილი მასალის: „ჩაგვრის (ბულინგის) მაგალითები“ თითო ეგზემპლარი. აუხსენით, რომ ფურცლის ერთ მხარეს მოცემულია გოგონას, ხოლო მეორე მხარეს ბიჭის გამოსახულება. სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოწერონ ბულინგის მაგალითები (რომლებიც მოსწავლეებმა თავად დაასახელეს ან რომელთა შესახებაც ვიდეოს ნახვისას შეიტყვეს) თითოეული გამოსახულებისთვის, ფურცლის თითოეულ მხარეს, ხოლო სხეულის გამოსახულების შიგნით დაწერონ ყველა იმ გრძნობისა და განცდის შესაბამისი სიტყვა, რომელიც ბულინგმა შეიძლება გამოიწვიოს ბულინგის მსხვერპლზე. – „რას გრძნობს და განიცდის ადამიანი, როდესაც მის მიმართ ბულინგი ხორციელდება?“

სთხოვეთ ჯგუფის წევრებს მთლიან კლასს წარუდგინონ ჯგუფური მუშაობის შედეგები. წაახალისეთ მოსწავლეები, რათა მათ აწარმოონ შედარება და აღმოაჩინონ განსხვავებები თუ როგორ განიცდიან ბულინგს ბიჭები, გოგონები და ტრანსგენდერი ახალგაზრდები.

დაუსვით მოსწავლეებს შემდეგი კითხვები:

- როგორ იგრძენით თავი ამ აქტივობის შესრულებისას?
- რა სხვადასხვა გზით შეიძლება განიცადოს ბულინგი ადამიანმა?
- ხომ არ აღმოაჩინეთ რაიმე კანონზომიერება ადამიანების მიერ ბულინგით გამოწვეული განცდების თვალსაზრისით?
- რა საერთო აქვთ და რითი განსხვავდება ერთამენთისგან გოგონას, ბიჭის და ტრანსგენდერი ახალგაზრდის მიმართ განხორციელებული ბულინგი?

(20 წუთი)

ეტაპი 4

შემდეგ, დაფაზე გამოსახეთ ქვემოთ მოცემული ორსვეტიანი ცხრილი და თითოეული სვეტი შემდეგნაირად დაასათაურეთ:

რა უნდა მოიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიმართ ხორციელდება ბულინგი?	რა უნდა მოიმოქმედოთ ბულინგის მსხვერპლის დასაცავად?

amaze განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ

გაკვეთილის გეგმა

აუხსენით მოსწავლეებს, რომ მას შემდეგ, რაც ისაუბრეთ ბულინგის ტიპებზე და იმაზე, თუ რა განცდები შეიძლება დაეუფლოს ბულინგის მსხვერპლს, დროა ისაუბროთ იმაზე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ ბულინგის შემთხვევაში. ჰკითხეთ მოსწავლეებს: „რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა იმ შემთხვევაში, თუ მის მიმართ ხორციელდება ბულინგი?“ ჩაწერეთ მათი პასუხები ცხრილის მარცხენა სვეტში. შემდეგ ჰკითხეთ მოსწავლეებს: „რა უნდა მოიმოქმედოს ადამიანმა იმ შემთხვევაში, თუ იგი სხვის მიმართ ბულინგის თვითმხილველი ხდება?“. ჩაწერეთ მათი პასუხები ცხრილის მარჯვენა სვეტში.

შეეცადეთ მოსწავლეებისგან მიიღოთ შემდეგი პასუხები:

რა უნდა მოიმოქმედოთ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მიმართ ხორციელდება ბულინგი ან კიბერბულინგი?	რა უნდა მოიმოქმედოთ ბულინგის ან კიბერბულინგის მსხვერპლის დასაცავად?
• შეხედეთ ადამიანს, რომელიც თქვენს დაჩაგვრას ცდილობს, და მშვიდი და მკაფიო ტონით უთხარით მას შეწყვიტოს ბულინგი. • თუ მასთან საუბარი შეუძლებელი ან საფრთხის შემცველია, გაეცალეთ და დახმარებისთვის მიმართეთ სხვა პირს. • მომხდარის შესახებ გაესაუბრეთ მეგობარს, მშობელს, მასწავლებელს ან ფსიქოლოგს. • თუ თქვენ კიბერბულინგის მსხვერპლის როლში აღმოჩნდით: • არ უპასუხოთ გზავნილებს და არც გაუზიაროთ ეს გზავნილები სხვას. • დაბლოკეთ ნომერი თქვენს მობილურ ტელეფონზე • ამოშალეთ პირი სოციალურ ქსელში თქვენი მეგობრების სიიდან • შეაგროვეთ და შეინახეთ კიბერბულინგის რაც შეიძლება მეტი სამხილი, ტექსტების, პოსტების ან ფოტოების სახით • შეატყობინეთ ამის შესახებ მეგობარს ან უფროსი ასაკის სანდო პირს	• ბულინგის მსხვერპლის მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატეთ მისდამი კეთილგანწყობის დემონსტრირებით, იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მის ჩაგვრას ცდილობს. • შეეცადეთ შეაჩეროთ ბულინგი იმით, რომ სთხოვოთ ბულინგის მსხვერპლს გამოგყვეთ და თქვენთან ერთად რაიმე გააკეთოს. • მიმართეთ მჩაგვრელს და უთხარით მას, რომ ის, რასაც იგი სჩადის მიუღებელია და აუცილებლად უნდა შეწყვიტოს ბულინგი. • შეატყობინეთ მომხდარის შესახებ მასწავლებელს, მშობელს, ფსიქოლოგს ან უფროსი ასაკის სხვა სანდო პირს. • თუ შეიტყვეთ იმის შესახებ, რომ ვინმეს მიმართ კიბერბულინგი ხორციელდება, გამოიჩინეთ მის მიმართ კეთილგანწყობა, რათა მან თავი მარტოსულად არ იგრძნოს, გაამხნევეთ იგი და ურჩიეთ მიმართოს უფროსი ასაკის სანდო პირს, და მიაწოდეთ მას რეკომენდაციები იმის თაობაზე, თუ როგორ შეუძლიათ ტელეფონზე ნომრის დაბლოკვა, მეგობრების სიიდან მისი ამოშლა და გზავნილების უპასუხოდ დატოვება.

(8 წუთი)

ეტაპი 5

მადლობა გადაუხადეთ მოსწავლეებს მსჯელობაში შეტანილი წვლილისთვის. გაკვეთილის დასასრულს შეაჯამეთ ასათვისებელი მასალა, ქვევით მოცემული ძირითადი დასკვნების მოსწავლეებისათვის გაცნობით. დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები: „ჩაგვრა (ბულინგი)“, და სთხოვეთ მოსწავლეებს რამდენიმე წუთი დაუთმონ მის შევსებას.

(7 წუთი)

შენიშვნა მასწავლებლებისათვის: მოსწავლეებისათვის სამუშაო ფურცლების დარიგებამდე წაშალეთ დაფაზე დატანილი ინფორმაცია.

amaze *განათლება ადამიანის სექსუალობის შესახებ*

გაკვეთილის გეგმა

ძირითადი დასკვნები:

- ბულინგი ნიშნავს სხვისთვის ტკივილის, ზიანისა და შეურაცხყოფის მიყენებას, უპირატესობის მოპოვებისა და საკუთარი თავის ძლიერად წარმოჩენის მიზნით.
- ბიჭები, გოგონები და ტრანსგენდერი ახალგაზრდები, ბევრ ადგილას, სხვადასხვაგვარად განიცდიან ბულინგს.
- არსებობს ბულინგის რამდენიმე ტიპი და მათი ამოცნობის უნარი დაგვეხმარება მოვიმოქმედოთ რაიმე საკუთარი თავისა თუ სხვების დასაცავად.
- თუ თქვენ მიმართ ან სხვა პირის მიმართ ხორციელდება ბულინგი, არსებობს გზები, რომლებითაც შეგიძლიათ დაიცვათ საკუთარი თავი ან სხვა პირი, რომელიც ბულინგის მსხვერპლს წარმოადგენს.

სწავლის ამოცანების მიღწევის შეფასება გაკვეთილის დასრულების შემდგომ:

გაკვეთილის ბოლოს დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები: „ჩაგვრა (ბულინგი)“ და სთხოვეთ მათ უპასუხონ კითხვებს და, საკლასო ოთახიდან გასვლისას, ჩაგაბარონ შევსებული სამუშაო ფურცლები.

დისტანციურად ჩატარებისთვის გაკვეთილის ადაპტირებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები

გაკვეთილის დისტანციურად ჩატარებისთვის შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ციფრული პლატფორმებით: Google Classroom ან Zoom და მოსწავლეთა პასუხები ჩაინიშნეთ ვირტუალურ დაფაზე. მოსწავლეები შეგიძლიათ გადაანაწილოთ ვირტუალურ ჯგუფებში, ჩაგვრის (ბულინგის) მაგალითებზე ჯგუფური მუშაობისას, რა დროსაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ დოკუმენტის გაზირების ფუნქციით: „shared google document“ ან „jamboard“-ით.

საშინაო დავალება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მოსწავლეებს არ ეძლევათ საშინაო დავალება

ადაპტირებულია: ორგანიზაცია „Advocates for Youth“, უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა: 12 წლიანი სასკოლო განათლების სასწავლო გეგმა, ჩაგვრის (ბულინგის) წინააღმდეგ ბრძოლა; და იუნესკო და სხვები, ურთიერთობის დამყარება პატივისცემის საფუძველზე. გენდერული ნიშნით ძალადობის შედეგები. ქართულ ენაზე ადაპტირებულია ასოციაცია HERA XXI- ის მიერ.

მასალა

მოსწავლეებისათვის:

ჩაგვრის (ბულინგის) მაგალითები



მასალა

მოსწავლეებისათვის:

ჩაგვრის (ბულინგის) მაგალითები



სამუშაო ფურცელი:

ჩაგვრა (ბულინგი)

უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს და ჩააბარეთ შევსებული ფურცლები მასწავლებელს, საკლასო ოთახიდან გასვლისას

1. **რა არის ჩაგვრა (ბულინგი)?**

2. **აღნიშნეთ ჩაგრის (ბულინგის) სამი ტიპი:**

- ☐ აქტიური ჩაგვრა (ბულინგი)
- ☐ მძიმე ჩაგვრა (ბულინგი)
- ☐ მსუბუქი ჩაგვრა (ბულინგი)
- ☐ კიბერჩაგვრა (კიბერბულინგი)
- ☐ პასიური ჩაგვრა (ბულინგი)
- ☐ ახალი ჩაგვრა (ბულინგი)

3. **დაასახელე ერთი რამ, რაც შეგიძლია მოიმოქმედო იმ შემთხვევაში, თუ ჩაგვრის (ბულინგის) მსხვერპლის როლში აღმოჩნდი.**

4. **დაასახელე ერთი რამ, რაც შეგიძლია მოიმოქმედო იმ შემთხვევაში, თუ სხვისი ჩაგვრის (ბულინგის) თვითმხილველი აღმოჩნდი.**